განკარგულება:**გ-47.47222092**
თარიღი:**28/07/2022**

განკარგულება N44

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სამებაში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.06.23.206) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N32 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე რიცხული) არსებული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერის წესი“-ს მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სამებაში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.06.23.206) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ.

მუხლი 2.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი